

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	49,918	138,401	54,525
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	261,270	249,702	171,285
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	-	-	-
მარაგები	232	-	-
მზა პროდუქცია	-	-	-
სხვა	232	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	625	771	629
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
თვითღირებულების მოდელით	-	-	-
გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	5,250	6,250	7,250
ძირითადი საშუალებები	795	316	842
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	692,289	576,395	740,867
სულ აქტივები	1,010,379	971,835	975,398
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	-	27	121,025
ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	16,511	13,635	26,919
საგადასახადო ვალდებულებები	3,668	-	45,796
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	-	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	-	-	-
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	22,719	18,401	28,029
სულ ვალდებულებები	42,898	32,063	221,769
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	-	-	17,000
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	967,481	939,772	736,629
გადაფასების რეზერვი	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	967,481	939,772	753,629
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,010,379	971,835	975,398
სულ მოკლევადიანი აქტივები	312,045	388,874	226,439
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	20,179	3,597	193,740

შპს მიკროლენდი (სკ 402120548) ის ლირექტორი
ვლადიმერ ხიონიდი

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	626,045	987,679
საქონლის გაყიდვიდან	462	185
მომსახურების გაწევიდან	303	397
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	625,280	987,097
გაყიდვების თვითღირებულება	- 462	- 170
საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	625,583	987,509
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 290,728	- 322,568
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	- 1,173	- 1,527
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	-	-
იჯარის ხარჯი	- 13,901	- 14,174
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 169,967	- 242,098
სულ საოპერაციო ხარჯები	- 475,769	- 580,367
საოპერაციო მოგება	149,814	407,142
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	- 103,978	- 166,868
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-	-
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	45,836	240,274
მოგების გადასახადის ხარჯი	- 17,120	- 39,683
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	28,716	200,591
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	28,716	200,591
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	939,772	753,629
ახალი აქციების გამოშვება (მზს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	- 1,007	- 14,448
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	967,481	939,772

მზს მიკროლენდი (სკ 402120548) ის ღირებულებები
ვლადიმერ ხიონილი

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	- 88,483	100,876
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	- 17,000
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	- 88,483	83,876
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	138,401	54,525
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	49,918	138,401

მპს მიკროლენდი (სკ 402120548) ის დირექტორი
ვლადიმერ ხიონილი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლოში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31.12.2022	31.12.2021
1 USD/GEL	2.6894	2.702
1 EUR/GEL	2.9753	2.8844

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ზასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“IASB”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (“IFRIC”) მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2023 წლის 1 იანვრიდან.

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები;

ცვლილებები ბასს 8-ში - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - სააღრიცხვო შეფასების განმარტება

ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - სააღრიცხვო პოლიტიკის ასახვა განმარტებით შენიშვნებში;

ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - ერთჯერადი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი

Amendments to IAS 12 Income Taxes – Deferred Tax Assets and Liabilities related to Pillar Two Income Taxes.

ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაბაგვერა მოგების გადასახადით პილარ 2 მიდგომით.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ზუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია გადაზღვი ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტებითა და განახლებები მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ იქონიებს.

ცვლილებები ფასს 16-ში - იჯარა - საიჯარო ვალდებულება გაყიდვებში უკუიჯარის პირობებით;

ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;

ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - გრძელვადიანი ვალდებულებების

კლასიფიკაცია შეზღუდვებით/კოვენანტებით;

ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმებები;

ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 10-ში - ინვესტიორის მიერ აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში

შეტანა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს სამ კატეგორიად - „ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შესაბამემა კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება.

აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს შესყიდული სესხების პორტფელს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულის და ფულის ეკვივალენტებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL)

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღით აფასებს ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს.

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კალკულაციისთვის იყენებს ყველა მიზანშეწონილ და დასაბუთებად იმფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მისაღები დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

შესყიდული სასესხო პორტფელი

შესყიდვების დროს შეძენილი სესხის თითოეული პორტფელის აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, რომელსაც ემატება პირდაპირი შესყიდვის დანახარჯები, შემდგომ კი ამორტიზებული ღირებულებით. ამორტიზებული ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ხელმძღვანელობა პერიოდულად აფასებს მომავალ ფულად ნაკადებს და შესაბამისად შეძენილი პორტფელების მიმდინარე ღირებულებას. გაუფასურების მონიტორინგი ხდება რეგულარულად. პორტფელის გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც პროგნოზირებული ფულადი ნაკადი აჭარბებს რეალურ ფულად ნაკადს. გაუფასურების ხარჯი აისახება შეფასების ცვლილებაში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

როდესაც რეალური ფულადი ნაკადი აჭარბებს პროგნოზირებულ ფულად ნაკადებს, შეფასების

ცვლილებაში აღიარდება გაუფასურების კომპენსირება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპონდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისთვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოთვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ააოფასორობის თანაბარი.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფული ბანკში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ფინანსური აქტივების ჩამოწერა

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (ი) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს საჰაერო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდილს ავლიდებულობის გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში. კომპანიას ისტორიულად არ ქონია და არც საანგარიშგებო პერიოდში აქვს დასაქმებულითა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით ხარჯად აღიარებასა და დარიცხვას.

ბანკის სესხები და გარანტიები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების გამოკლებით, შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

მოგების გადასახადი

თოგეის გადასაადის იაოჯი ძედგეა თიძიდაოე თოგეის გადასაადისა და გადავადეული საგადასაადო ვალდეიულების თანხების ჯამისგან. მიმდინარე მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება წლის დასაბეგრი (15%-იანი განაკვეთი) მოგების საფუძველზე. გადავადებული გადასახადი წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქტივების და ვალდებულების საბალანსო ღირებულებებსა და მათი შესაბამისი საგადასახადო ბაზის მონაცემებს შორის სხვაობის (დროებითი სხვაობა) შედეგს. გადავადებული საგადასახადო ვალდებულების აღიარება ხდება ყველა იმ დროებითი სხვაობის საფუძველზე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის დასაბეგრ მოგებას. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ყველა იმ დროებითი სხვაობის საფუძველზე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს დასაბეგრ მოგებას და გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება გადავადებული საგადასახადო აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულების შეფასება და სწორდება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს მომავალი დასაბეგრი მოგების მიმდინარე შეფასებები. ნებისმიერი კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში. გადავადებული გადასახადის გაანგარიშება ხდება საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია იმ პერიოდების დასაბეგრი მოგების (საგადასახადო ზარალის) მიმართ, რომელთათვისაც ივარაუდება გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვა. გადავადებული გადასახადის გაანგარიშება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დასაბეგრი მოგების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი

წლიური ამორტიზაციის ნორმა

ოფისის აღჭურვილობა

2-3 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაყოფილია ალიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

კომპანიის საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. კომპანია გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, გარდა გაუფასურებული საკრედიტო აქტივებისა საერთო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. როდესაც ფინანსური აქტივი უფასურდება კომპანია გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდა და აღარ არის გაუფასურებული, მაშინ კომპანია უბრუნდება საპროცენტო შემოსავლის გამოთვლას სრული ღირებულების საფუძველზე. სხვა შემოსავალი და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდება შესაბამის მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადასახადების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

გრძელვადიანი იჯარები

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. ფინანსური იჯარის დროს აქტივის და შესაბამისი ვალდებულების საბალანსო თანხა განსაზღვრულია მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშებისას დისკონტირების ფაქტორის გათვალისწინება ნიშნავს: საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შესაძლებელია, ხოლო თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია - ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას.

ფინანსური იჯარა ფინანსურ ხარჯებთან ერთად წარმოშობს აქტივის ცვეთის ხარჯებს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივების მიმართ კომპანიის მიერ გატარებული ცვეთის პოლიტიკა შეესაბამება საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია

- აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;

შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.